

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის
ოქმი №53

19.12.2024 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვიტალი ონიანი, ლევან ჯაფარიძე, ანა კილაძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. მონიკა არეშიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
5. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434554-03 წერილი)

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434545-03 წერილი)

/მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 16 დეკემბრის №12-032435136-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 28 ნოემბრის №12-032433329-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 12 დეკემბრის №12-032434733-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 13 დეკემბრის №12-032434868-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. მიმდინარე საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 19 დეკემბრის №12-03243543-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

- „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28

თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 18 დეკემბრის №12-032435313-03 წერილი)

/მომხსენებელი: სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი/

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434554-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178 000 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354 700 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823 300 ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308 600 ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869 400 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ შესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (№04-03/89332) გათვალისწინებით, რომლის თანახმად, გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 81 693 200 ლარით (მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება - 15 000 000 ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 66 693 200 ლარით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 80 000 000 ლარი, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მისაღები შემოსავლები მცირდება - 4 823 800 ლარის ოდენობით. გაზრდილი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 685 915 700 ლარი;

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495 300 ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120 900 ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079 500 ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491 300 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 165 575 200 ლარი;
- განათლება - 261 539 900 ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294 000 ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779 200 ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887 000 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 178 000 ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 708 254 700 ლარი) შედარებით გაზრდილია 194 923 300 ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან (1 746 308 600 ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869 400 ლარით. მათ შორის:]

- გადასახადები: 987 349 200 ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (918 661 800 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68 687 400 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 81 693 200 ლარით. მათ შორის: ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 320 000 000 ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (275 000 000 ლარი) შედარებით გაზრდილია 45 000 000 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 15 000 000 ლარით. მათ შორის:
- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 255 000 000 ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (225 000 000 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 30 000 000 ლარით;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 45 000 000 ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (30 000 000 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 15 000 000 ლარით;
- მიწაზე ქონების გადასახადი 20 000 000 ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (20 000 000 ლარი) მიმართებაში უცვლელია.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 667 349 200 ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (643 661 800 ლარი) შედარებით გაზრდილია 23 687 400 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 66 693 200 ლარით მეტია.

გრანტები 594 174 600 ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (508 909 900 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 85 264 700 ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 80 000 000 ლარით მეტია). მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 430 000 ლარი (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ);

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444 600 ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 580 000 000 ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 80 000 000 ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძე - ბაგების გზა); ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის 3 მიწისქვეშა ურნები) შესამენად; თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა რეაბილიტაციისთვის; რაიონების გზებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის);

- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300 000 ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000 000 ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 300 000 ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 500 000 ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი.

სხვა შემოსავლები 321 654 200 ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (280 683 000 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 40 971 200 ლარით (ძირითადად პროცენტები, სანებართვო მოსაკრებელი, სანქციები (ჯარიმები და საურავები), მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, სხვა შემოსავლები), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში შემცირებულია - 4 823 800 ლარით. მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან - 16 000 000 ლარი;

- ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - 23 791 400 ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80 000 000 ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 115 000 000 ლარი;

- ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სხვა შემოსავლები) - 24 707 800 ლარი (პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 4 823 800 ლარით ნაკლებია (დაზუსტდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები). ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 983 178 000 ლარს. მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 571 754 300 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 149 075 700 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 191 493 200 ლარი, პროცენტი 40 340 300 ლარი, სუბსიდიები 725 222 700 ლარი, გრანტები 1 434 300 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 155 645 700 ლარი, სხვა ხარჯები 308 542 400 ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 286 968 400 ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 366 968 400 ლარი.

- არაფინანსური აქტივების კლება - 80 000 000 ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 30 000 000 ლარი).

2025 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (44 455 300) ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2025 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 44 455 300 ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 983 178 000 ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354 700 ლარი) შედარებით გაზრდილია 219 823 300 ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან (1 826 308 600 ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869 400 ლარით, მათ შორის:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 685 915 700 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (567 498 100 ლარი) შედარებით გაზრდილია 118 417 600 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (631 765 700 ლარი) მიმართებაში - 54 150 000 ლარით მეტია. მათ შორის: რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამების ასიგნებები ჯამში იზრდება - 8 150 000 ლარით, ხოლო გზების მშენებლობა და აღდგენა ქვეპროგრამის ასიგნებები - 46 000 000 ლარით (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მათ შორის რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძე - ბაგების გზა);

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495 300 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (267 969 400 ლარი) შედარებით გაზრდილია 21 474 100 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (209 514 600 ლარი) მიმართებაში - 36 980 700 ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 8 700 000 ლარი (ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილზე საავტომობილო გზის გასწვრივ ფერდის გამაგრების სამუშაოები); გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 5 000 000 ლარი (კოსტავას ქუჩის ნაწილზე და რუსთაველის გამზირზე, ჩოლოყაშვილისა და წერეთლის ქუჩებზე გარე განათების მოწყობა), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 16 280 700 ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 7 000 000 ლარი (ჭადრაკის სასახლის ფასადის რეაბილიტაცია);

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120 900 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (221 611 100 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 41 509 800 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 39 925 500 ლარით მეტია. მათ შორის: თბილისის მასშტაბით სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია (მათ შორის რუსთაველის გამზირის გამწვანება) - 20 500 000 ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის მიწისქვეშა) შექმნა - 11 000 000 ლარი, შპს თბილსერვის ჯგუფისათვის ბელიაშვილის ქუჩაზე საწყობის მშენებლობა - 1 000 000 ლარი;

- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079 500 ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 47 491 300 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (38 796 300 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 695 000 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (38 296 300 ლარი) მიმართებაში - 9 195 000 ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები;

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია 165 575 200 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (154 920 100 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 655 100 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (164 975 200 ლარი) მიმართებაში - 600 000 ლარით მეტია. მათ შორის იზრდება დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია რაიონებში (დიდუბე, ნაძალადევი) - 255 000 ლარით, ხოლო სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში - 345 000 ლარით;

- განათლება - დაიგეგმა 261 539 900 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047 100 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492 800 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში უცვლელია;

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294 000 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (35 534 700 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 759 300 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (32 444 000 ლარი) მიმართებაში 6 850 000 ლარით მეტია, მათ შორის ვერის კორტების რეაბილიტაცია - 2 500 000 ლარი, ვარკეთილში მდებარე „ედელვაისის“ მოედნის რეაბილიტაცია - 4 000 000 ლარი, ხოლო კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (გლდანის, სამგორი) - 350 000 ლარი;

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779 200 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (7 297 000 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 8 482 200 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (7 779 200 ლარი) მიმართებაში 8 000 000 ლარით მეტია, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 2 000

000 ლარით, ხოლო ცხოველთა მონიტორინგი (მათ შორის გლდანის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა) - 6 000 000 ლარით;

- ე. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887 000 ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (219 527 400 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 35 359 600 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან (253 718 800 ლარი) მიმართებაში 1 168 200 ლარით მეტია, რაც მიიძღრება დიდუბის, ჩუღურეთის და სამგორის ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოებისათვის აღსანიშნავია, რომ 2025 წლისათვის იგეგმება გარდამავალი თავისუფალი ნაშთის გამოყენება სხვადასხვა მიმართულებებზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, ბოტანიკური ბაღის საბიუჯეტო დაფინანსებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი გასცა მომხსენებელმა, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434554-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ე. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434554-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434545-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

მომხსენებლის (ქ. კანდელაკიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქი თბილისი გამოირჩევა მრავალფეროვანი მწვანე ლანდშაფტით. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მდგრადობის შენარჩუნება და დაგვა-დასუფთავება მუნიციპალიტეტის ფუნქცია-მოვალეობაა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ქალაქის ტერიტორია იყოს მუდმივად მოწესრიგებული და სარეველა ბალახოვანი მცენარეებისგან თავისუფალი, რასაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცდა „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ და იგი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ორგანიზების, მომსახურების წესების დადგენის, ოპერატორის შერჩევისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესებს. წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი აკონკრეტებს ტერმინ დაგვა-დასუფთავების შინაარსს და კრძალავს ამ პროცესში ჰერბიციდების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში, სარეველა მცენარეებთან ბრძოლას ახორციელებს ფიზიკურად, დამხმარე

მოწყობილობების საშუალებით და ჰერბიციდების გარეშე, რაც ართულებს შესასრულებელ სამუშაოს და აჭიანურებს დროში. გარდა სამუშაოს შესრულების სირთულისა, ზოგჯერ, სარეველა მცენარეების განადგურება ხორციელდება ადამიანისთვის მიუდგომელ ადგილას, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიაში დასაქმებულთა უსაფრთხოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა შესაბამისი ცვლილების შეტანა №17-46 დადგენილებაში. შესაბამისად, პროექტით ცვლილება შედის წესში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისას, სარეველა მცენარეების მოშორების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვები ხდება ჰერბიციდების გამოყენება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434545-03 წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 10 დეკემბრის №12-032434545-03 წერილით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 16 დეკემბრის №12-032435136-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, რომელიც ეხება ვარკეთილის მასივის ქალაქგეგმარებითი არეალის რეგლამენტს. ცვლილება ეხება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს (კ-2).

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება არაუმეტეს კ-2=5.0.“

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 16 დეკემბრის №12-032435136-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 16 დეკემბრის №12-032435136-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 28 ნოემბრის №12-032433329-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.2009.2259 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01243093169-67; №01242203457-67; №01243182106-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01243093169-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.359) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

№01.72.14.014.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სასაწყობე ინფრასტრუქტურის მქონე შენობა-ნაგებობის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, №01.72.14.014.359 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიღმა, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა (სზ), აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.014.359 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.359) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01242203457-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №41ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო

კოდი: №01.14.14.001.037) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 25 სექტემბრის №01242692073 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ცვლილების შემთხვევაში ინტერაქტიულ რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, №01.14.14.001.018 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №41ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.001.037), ასევე, №01.14.14.001.018 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01243182106-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.008.107) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 20 ნოემბრის №01243251567 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 21 ნოემბრის №0124326562 წერილიტ საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ ქმნის გზათა ერთიან ქსელს. აგრეთვე, მისი არსებული კონფიგურაცია და პარამეტრი არ არის შესაბამისი განსახილველ მონაკვეთზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალს მიღმა, №01.19.15.008.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით №01.19.15.008.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საპროექტო მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე ამავე რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.008.107), ასევე, №01.19.15.008.037 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 28 ნოემბრის №12-032433329-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01243093169-67; №01242203457-67; №01243182106-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2024 წლის 28 ნოემბრის №12-032433329-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01243093169-67; №01242203457-67; №01243182106-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 12 დეკემბრის №12-032434733-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 დეკემბრის №24.2094.2358 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01243241342-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - №01243241342-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №159-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.003.424) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო მიწის ნაკვეთის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 29 ნოემბრის №01243343178 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

